

[ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის საყურადღებოდ!](#)

მოგახსენებთ, რომ გამოცხადდა მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში 2015 წლის საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და უკრაინაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს (მტცუ) შორის შეთანხმებული შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ:

[http://rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=18&id=1531](http://rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=18&id=1531)

ფონდის მიერ დაწესებულია შეზღუდვა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილ პროექტებზე, არაუმეტეს 20 პროექტისა. გამომდინარე აქედან, კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა გთხოვთ პროექტის სახელწოდებისა და ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის გრანტის ხელმძღვანელების გვარები და სახელები ინგლისურ ენაზე ისე, როგორც მითითებულია პუბლიკაციებში) გამოაგზავნოთ თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ელექტრონულ მისამართზე [sciencerd@tsu.ge](mailto:sciencerd@tsu.ge).

პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღების ბოლო ვადაა 31 მარტი, სამშაბათი.

გთხოვთ, შეატყობინოთ პროექტის წარდგენით დაინტერესებულ პერსონალს.

პატივისცემით,

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი